



ალექსანდრე შპეტიშვილი

თბილისი 2020

„გლობალური უსაფრთხოების ჰეტეროგენული ბუნება“

ადამიანები სამყაროს სიცოცხლის ველზე გამუდმებით აყალიბებდნენ და აყალიბებენ სისტემებს საზოგადოების თითქმის ყველა დონეზე, მათ არ მოსწონთ სახელმწიფოს მიერ ზემოდან ცენტრალიზირებული, თავსმოხვეული სოციალური ინჟინერია, ისინი ესწრაფვიან ინოვაციებს, რომლებიც არაცენტრალიზირებული არხებიდან მოდის. პეტერ სლოდერდაიკი ცინიკური გონების კრიტიკაში აღნიშნავდა, რომ „თანამედროვე ესთეტიკური კომუნიკაციების ყველაზე დახვეწილი და თავისუფალი ფორმების უკან ჯერ კიდევ ისმის სოციალური ტანჯვის, კულტურული უხეშობის და სისასტიკის ხმები.

საკითხი, რომელიც სტატიაში უნდა განვიხილო კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მშვიდობის, უსაფრთხოების პრივილეგირებულ მნიშვნელობას და აკნინებს ანარქისტულ მიდგომებს, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ შესაძლოა ჩვენი არარაციონალური მოტივებიდან გამომდინარეობდეს, ჩვენი მიზანია დავინახოთ თუ რა მოიაზრება გლობალური უსაფრთხოების პარადიგმაში, რა ფაქტორები იძლევა მისი განხორციელების საშუალებას, როგორ ხდება გლობალური უსაფრთხოების კანონზომიერებების განსაზღვრა, ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გლობალური უსაფრთხოების არქექტივი დაგვეხმარება, რომელიც მის ბუნებაში ძვეს, სწორედ რომ ჩვენ ოპერირებულნი ვართ არა მის გამოგონებაზე, არამედ აღმოჩენაზე, როგორც რეალურად არსებულზე.

გლობალური უსაფრთხოების იდეა არ წარმოადგენს ახალ ნარატივს, ის იმდენად ძველია, რამდენადაც დასავლური საზოგადოებების წარმოშობა და მათი გენეზისი, თუმცა, მთავარი ნიუანსი მდგომარეობს შემდეგში, რომ ეს საკითხი უფრო მეტ ყურადღებას იქცევს დღეს, ძალიან მარტივი მიზეზის გამო, ეს მიზეზი არის სახელმწიფოების განვითარება, აქსიომაა, რომ სახელმწიფოები ნებისმიერ ეპოქაში ვითარდება, არარსებობს ერთმნიშვნელოვნად მათი სტატიკური მდგომარეობა, ეს რათქმაუნდა აპრიორულია, მაგრამ რახდება დღეს? თანამედროვე სახელმწიფოებს მოუხდათ ისეთ სისტემაში თანაცხოვრება, რომელიც არის საერთაშორისო უნივერსალური და როგორც ნებისმიერ სისტემას მასაც აქვს თავისი დამახასიათებელი ატრიბუციები, რომელიც მის სპეციფიკურ ბუნებაზე მეტყველებს.

გლობალური უსაფრთხოება არის უსაფრთხოების ისეთი მოდელი, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, იგი დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებზე, რომელთა განხორციელება აიძულებს სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის

აქტორებს უფრო მეტად გაუფრთხილდნენ სუვერენიტეტს ან მის უხეშ დარღვევაზე პასუხი აგონ.

- უსაფრთხოების კლასიფიკაცია პოლიტიკური ანალიზის ფორმატში, რომ განვიხილოთ მოგვიწევს შევხებით მის სამ დონეს.
 1. ლოკალური დონე-ადამიანი-პიროვნების უსაფრთხოება
 2. ეროვნული დონე-სახელმწიფო-სოციალური უსაფრთხოება
 3. გლობალური დონე-საერთაშორისო საზოგადოება-ეროვნული უსაფრთხოება
- ჩვენ ნათლად ვხედავთ რომ სახელმწიფოსთვის სამივე დონე მნიშვნელოვანია, თუმცა, როდესაც საქმე ეროვნულ უსაფრთხოებას ეხება, მაშინ ყველაზე მეტ დატვირთვას გლობალური დონე განიცდის, აქ ერთგვარ პარადოქსსაც ვაწყდებით, ანუ ჩვენი ეროვნული უსაფრთხოება დიდწილად განპირობებულია გლობალური უსაფრთხოების დონეზე, შესაბამისად მისი ცვლილებები პირდაპირ აისახება ამა თუ იმ სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ჩემი აზრით, აქ მუშაობს გარკვეული კანონი, ეს კანონი წარმოადგენს „ჰეტეროგენულობის მიერ ჰომოგენურობის მიმართ რედუციას“ ,რომ განვმარტოთ: ჰეტეროგენულობა იქცა გლობალური უსაფრთხოების სუვერენულობად, რადგან მან თავისი გამოვლინება ჰპოვოს, ამის რეალიზირებისათვის იგი მოუხმობს ჰომოგენურ ელემენტებს, რადგან სახელმწიფოებში ჰომოგენურობის პრინციპი სხვა არაფერია თუ არა ტენდენციური ფაქტი, რომელიც უძლურია საკუთარ თავში მონახოს მოტივი საკუთარი არსებობის მოსათხოვნად, რის გამოც გარემოებათა უმრავლესობაში გარედან მოტანილი მოთხოვნის მომველიება იძენს უპირველეს საჭიროების მნიშვნელობას, სახელმწიფოების ჰომოგენურობის საკუთრივი ფორმა რეალურად იქცევა, მაშინ, როდესაც იგი საკუთარ თავს უარყოფს, იმ მიზეზით რომ დაიბადოს ჰეტეროგენულ სისტემაში, ამრიგად ჰომოგენურობის რედუცია წარმოადგენს ერთდროულად როგორც ნგრევას და ამავდროულად, როგორც ახალი გაერთიანების საწყისს საფუძველს, სწორედ ეს პრინციპი უნდა მოქმედებდეს გლობალურ სისტემაში და ამ პრინციპის ადეპტი სახელმწიფოები უნდა პოულობდნენ საკუთრივ ბუნებიდან, ისტორიიდან, პოლიტიკიდან გამომდინარე ერთად შედგომის საფუძველს, ერთი იდეის ქვეშ გაერთიანებულ სიმრავლეს, რომელიც არსებობისა და უსაფრთხოების ნებაში გამოიხატება. საინტერესო მომენტი რაც შეიძლება დავაფიქსიროთ ის არის რომ აქ უკვე“ ერი არ ქმნის სახელმწიფოს“, ესეგი გლობალურმა ლოგიკამ ნამდვილი არსებობა მიანიჭა გლობალური ერთიანობის ცნობიერების მქონე ხალხს, რომელიც თამამად შეძლებს თქმას ნებისმიერ სიტუაციაში რომ „სახელმწიფო ქმნის ერს“,

რამეთუ ერი როგორც სახელმწიფო, ეთიკური სინამდვილეა, რომელიც იმდენად არსებობს და ცოცხლობს, რამდენადაც ვითარდება, ინერცია გლობალურ ლოგიკაში სიკვდილის სინონიმად ასოცირდება, პარალელურად გლობალური უსაფრთხოების დამცველი სახელმწიფოები ამტკიცებენ თავისი განვითარების ყველა საჭირო გადაწყვეტილების უნივერსალობას, ამ გზით იგი მიდის შესაბამისობაში ადამიანური ნებელობის ბუნებასთან, რომელიც განვითარების მოდიფიკაციისას არავითარ წინაღობას არ სცნობს, ამ მხრივ გლობალური უსაფრთხოების ადაპტაცია ორმაგ თამაშში ერთვება, ერთ მხრივ სახელმწიფოებს მიდრეკილებას აძლევს დემოკრატიულობისკენ, მეორე მხრივ კი იგი ამ ყველაფერს საერთო სისტემაში აღბეჭდავს, ერთგვარი კატეგორიული იმპერატივი, რომელიც ქმნის პრეცედენტებს საერთაშორისო სამართლიანობის უზენაესობისათვის, ცხადია მარადიული მშვიდობის და თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების ავტორი იმანუელ კანტი სავარაუდოდ ამ პრინციპებს გულისხმობდა, როდესაც მან პოსტულატების სახით თქვა რომ მარადიული მშვიდობის დამყარებისათვის სამი აუცილებელი პირობაა გასათვალისწინებელი:

- ყოველი სახელმწიფო რესპუბლიკას უნდა წარმოადგენდეს
- საერთაშორისო სამართალი თავისუფალი სახელმწიფოების ფედერალურ კავშირს უნდა ეფუძნებოდეს
- საერთაშორისო სამართალი უნდა გახდეს მსოფლიო მოქალაქეობის სამართალი, რომელიც საყოველთაო სტუმართმოყვარეობის პირობებით შემოიფარგლება. კანტი ცდილობს ახსნას თუ რა უპირატესობა აქვს დასავლურ, დემოკრატიული ტიპის მმართველობას აბსოლუტური და ფეოდალური მონარქიებისგან განსხვავებით, კანტი აყალიბებს მსოფლიო სახელმწიფოს თეორიას, რომ მსოფლიო სახელმწიფო იქმნება მომავალი მარადიული მშვიდობის გარანტი და რომელიც იქნება ისეთი ფორმის გაერთიანება, რომელიც მნიშვნელოვნად შეზღუდავს კონფლიქტის შესაძლებლობას, კანტი ეწინააღმდეგება იმას რასაც ჩვენ ჰომოგენურობა ვუწოდეთ, მისი აზრით, სამშვიდობო ხელშეკრულებების ეფექტიანობა მშვიდობისა და ომების აღკვეთის სფეროში უძლურია, რადგან ამ ტიპის ხელშეკრულებები მხოლოდ ერთი კონკრეტული ომის დასრულებას უწყობს ხელს და იგი არ არის ეფექტური ნაბიჯი მსოფლიო მშვიდობის დამყარების პროცესში.

დღეს გლობალურმა საფრთხეებმა სხვადასხვა განზომილება მიიღეს:

- ✓ ადამიანური
- ✓ ბუნებრივ ეკოლოგიური
- ✓ ეროვნული

- ✓ ტრანსნაციონალური
- ✓ ტრანსკულტურული

თითოეული მათგანი არის განსხვავებული ნაკრები, ადამიანური უსაფრთხოების ძირითადი პრინციპებია სუბიექტის პიროვნული, ინდივიდუალური უსაფრთხოება, ბუნებრივ ეკოლოგიური უსაფრთხოება მოიცავს ისეთ საკითხებს როგორც კლიმატის ცვლილება, გლობალური დათბობა, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს სახელმწიფო მონოპოლიის საკითხებს და განიხილავს ძალის გამოყენებას მოცემულ ტერიტორიაზე, იგი ხაზს უსვამს სამხედრო და სპეცსამსახურების უსაფრთხოებაზე, ტრანსნაციონალური მოიცავს ორგანიზირებულ დანაშაულებებს, მაგ. ტერორიზმს ან ტრეფიკინგს, ტრანსკულტურული უსაფრთხოება კი მიზანმიმართულია განსხვავებული კულტურული ღირებულებების და მასთან დაკავშირებული პრობლემების ცივილიზირებული ფორმით მოგვარებასთან.

ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია გლობალური უსაფრთხოების სტრატეგია ახალ ეპოქაში, გლობალური უსაფრთხოება მუდმივ მუტაციებს განიცდის, თანამედროვე ეპოქაში კი მისი სტრატეგია ასეთია:

- ❖ სასიცოცხლო ეროვნული ინტერესები - ყურადღება მახვილდება ისეთ უსაფრთხოების თემებზე, როგორცაა ქვეყნისა და მოკავშირეების ფიზიკური დაცვა, საზოგადოების კეთილდღეობის პირობების დაცვა, კრიტიკული ინფრასტრუქტურების დაცვა, ენერგეტიკის, საბანკოს და ა.შ
- ❖ მთავარი ეროვნული ინტერესი ამ ბლოკში განისაზღვრება ისეთი მიმართულებები როგორებიცაა რეგიონები, სადაც სახელმწიფოებსა და მის მოკავშირეებს გააჩნიათ დიდი ეკონომიკური ინტერესები, გლობალური გარემო პირობების დაცვა დიდი მასშტაბების კატასტროფებისგან, კრიზისებს რომლებიც უკავშირდება დესტაბილიზირებული სახის კრიზისებს, უკანონო მიგრაციას
- ❖ ჰუმანიტარული და სხვა სახის ინტერესები - აქ შედის ბუნებრივი კატასტროფები და ტრენდ-ცენტრული სხვა სახის საფრთხეები, ადამიანის უფლებათა დაცვა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა

დღეს გლობალური უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად რჩება ასიმეტრიული საფრთხეები, მისი მაგალითებია კიბერომი, კიბერთავდასხმა, ტერორიზმი, ჰიბრიდული ომი და სხვა. მიუხედავ ამისა მაინც არსებობს გლობალური უსაფრთხოების მართვის მოდელები;

რისკების შეფასება	კონკრეტული მეთოდები
პრობლემის განსაზღვრა	ოპტიმალური გზების მოძებნა
დიაგნოსტიკა და ანალიზი	პოლიტიკური დოკუმენტის მომზადება
საფრთხეების დროული იდენტიფიკაცია	მათი მოდელირება
ფიქსირებული საფრთხე	უსაფრთხოების ღონისძიებათა დანერგვა, პრევენცია, ესკალაცია, ბლოკირება
შედეგების მონიტორინგი	საერთაშორისო ორგანიზაციები

რაც შეეხება თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების ფორმატებს:

- კონცეპტუალური ფორმატი - მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ სკოლებს, სამეცნიერო კვლევით პლატფორმებს
- ინტერდისციპლინარული ფორმატი - განსაზღვრავს თვით სამეცნიერო დისციპლინების შიგნით წარმოჩენილ მიმართულებებს და მიდგომებს, მათ წიაღში შექმნილ ანალიტიკური პლატფორმების გამოყენების პერსპექტივას საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების მოვლენების მიმოხილვისას
- ინდივიდუალური ფორმატი კი გულისხმობს იმ პერსონალურ მკვლევარებსა და მეცნიერებს, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ გლობალური უსაფრთხოების გაანალიზება პროგნოზირებაში და რომელთა სამეცნიერო დასკვნები ადაპტირებულნი იქნენ რეალურად.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ რომ გლობალური უსაფრთხოება სახელმწიფოებს სულ მცირე ორ უმარტივეს პრინციპს ვარიაციასა და გადარჩენას სთხოვს, ბიოლოგიური ევოლუციის მსგავსად, სადაც ორგანიზმებს შორის განსხვავებები შემთხვევითი გენეტიკური კომბინაციის შედეგია, ორგანიზმები რომლებიც უკეთ ერგებიან თავის კონკრეტულ გარემოს მეტ რეპროდუქციულ წარმატებას აღწევენ და ნაკლებად შეგუებულების ხარჯზე მრავლდებიან, ასეა გლობალურ სისტემაშიც ის წარმოადგენს სხვადასხვა ღონისძიებათა და სხვადასხვა ზომების კომპლექსს, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს სამყაროში ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების შესაძლებლობას და მის

უსაფრთხოებას, ხოლო მისთვის აუცილებელ და უცვლელ პირობას წარმოადგენს რომ იგი განვითარდეს უსაფრთხოების კვლევების, სტრატეგიული კვლევების და სამშვიდობო კვლევების საფუძველზე.

ბიბლიოგრაფია:

კანტი, მარადიული მშვიდობა, ნინო მშვენიერაძე, 2013

არტ ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა, 2011

რევაზ ჯორბენაძე, კონფლიქტების მართვა, 2001